თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი

19 სექტემბერი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

თენგიზ თოფურიძე – ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ზურაბ ზამბახიძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩაზე ღვარსადენი ქსელის მოწესრიგებისა და გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (10 ობიექტი, საკონკურსო წინადადების ფასი 15800 ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №948. 16.09.2013).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ზურაბ ზამბახიძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 3 (სამი) კონკურსანტმა:

1. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“– 7980 (შვიდიათასცხრაასოთხმოცი) ლარი.
2. ს.ს „ხურო“ – 15000 (თხუთმეტიათასი) ლარი.
3. შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ – 8955 (რვაათასცხრაასორმოცდათხუთმეტი)

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2013 წლის 19 სექტემბრის 13:30 საათამდე პერიოდით.

ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ს.ს „ხურო“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: თენგიზ თოფურიძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.
კომისიის წევრებმა: ზურაბ ზამბახიძემ და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.
ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“ მიიღო 28,5 ქულა.
ს.ს „ხურო“ მიიღო 16,5 ქულა.
შ.პ.ს „სამართლებივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ მიიღო 29,6 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: თენგიზ თოფურიძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.
კომისიის წევრმა: ზურაბ ზამბახიძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩაზე ღვარსადენი ქსელის მოწესრიგებისა და გზის საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან (10 ობიექტი) დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „სამართლებივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის (ზურაბ ზამბახიძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: თენგიზ თოფურიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

ზურაბ ზამბახიძე

ირაკლი გიორგაძე